

1 - ადგილი: გივი მომცელიძე

გივი არის პროფესიით ეკონომისტი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ათი წლის განმავლობაში მუშაობდა სპორტულ გაზეთებში როგორც ჟურნალისტად, ასევე ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამჟამად დაკავებულია ბიზნესით სავაჭრო და სამშენებლო მიმართულებით. მისი ინტერესის სფეროა საჯარო პოლიტიკა, ანალიტიკური კვლევები და სტატისტიკა.

2 - ადგილი: გიორგი დუნდუა

2015 წელს გახდა ევროპის ახალგაზრდა მკვლევართა ასოციაცირებული წევრი და აქტიურად მუშაობს სამეცნიერო პროექტზე "მეცნიერება დღეს". ამჟამად მუშაობს ინტერდისციპლინურ კვლევებზე სამოქალაქო განათლებისა და სოციალური ინკლუზიის მიმართულებით. სწავლის პერიოდში მიღებული აქვს რამდენიმე სასწავლო-კვლევითი გრანტი ევროკომისიის პროექტების ფარგლებში, მათ შორის რამდენიმე საპრეზიდენტო სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის. 2018 წლიდან თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა არაფორმალური განათლების "ღია აკადემია" და აპირებს აქტიურად იმუშაოს უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებზე.

3 - ადგილი: ნინო ტალიკაძე

ნინო არის მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. ამავ უნივერსიტეტში იგი მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში უფროს სპეციალისტად და აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის მომზადების პროცესში. ნინო არის სხვადასხვა სტიპენდიის მფლობელი.

ანა ქათამაძე

პროფესიით იურისტი, სწავლობს სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 6 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებათა დაცვის მიმართულებით. ამჟამად მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, განსაკუთრებით კი ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის სფეროში. პარალელურად, აქტიურ საქმიანობას ეწევა არაფორმალური განათლების სფეროში და როგორც ტრენერი და ახალგაზრდული მუშაკი ჩართულია ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტებში.

ნინო ლობჯანიძე და ნინო ჩოჩია

ნინო ლობჯანიძე - პროფესიით იურისტი. მუშაობის გამოცდილება აქვს როგორც არასამთავრობო, ასევე საჯარო სექტორში. წლების განმავლობაში მუშაობდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, დემოკრატიული მმართველობა და საჯარო პოლიტიკის ანალიზი. ამჟამად მუშაობს იუსტიციის სამინისტროს

ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტში და პარალელურად აქტიურ საქმიანობას ეწევა არაფორმალური განათლების სფეროში.

ნინო ჩოჩია: პროფესიით იურისტი, დაამთავრა ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა როგორც არასამთავრობო, ასევე საჯარო სექტორში. წლების განმავლობაში მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამჟამად მუშაობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტში კონსულტანტის პოზიციაზე.